№ 217. 17 ოკტომბერი, შაბათი. 1866—1881 17 ოკტომბერი, შაბათი. № 217

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილი მხედრულით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**მასწავლებელთა მოწვევა**

ტფილისის კათოლიკე საეკკლესიო სკოლებისათვის (ვაჟებისა და ქალებისა) საჭირონი არიან მასწავლებელნი ქალნი და კაცნი სარწმუნოებას განურჩევლად მცოდნენი ქართულისა და რუსულის ენისანი. პროგრამმა სწავლისა დაწყებითის სასწავლებლისაა. მსურველთ შეუძლიათ ოქტომბ. 22-მდე მოლაპარაკება თბილისის კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიის წინამძღვართან პატრი დიმიტრი სუმანიშვილთან, დილაობით საათის 10-დამ 12-მდე. (3—2)

თბილისის თეატრი

**დღეს, 17 ოკტომბერს**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

**დაქცეული ოჯახი**

დრამა 3 მოქმედებად, რუსულიდამ, პერესლეიძისა.

**II**

**საქალებო ვაგონი**

ვოდევილი 1 მოქმედებ., რუსულიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

# ტელეგრამმები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 15 ღვინობ. რუსეთისა და რუმინიის ურიების კოლონიის დაარსების პროექტი სირიაში, განხილული იქმნა პოლიტიკურ კამისიაში და წარედგინა დასამტკიცებლად ხონთქარს. გაზ. „ახალ დროებაში“ სწერია: 14 ღვინობისთვის სხდომაზე ექსპერტებმა განიხილეს გარდასახლების მიზეზები: ეს გარდასახლება აღიარებული იქმნა ნორმალურ ისტორიულ მოვლენათ, რომელიც გამოიწვია ეკონომიურმა მდგომარეობამ. საჭიროა განდევნილ იქმნას ეს გარდასახლების მიზეზები, მაგრამ ჯერჯერობით აკრძალვა გადასახლებისა შეუძლებელია.

## ევროპიელების აზრი ქართველებზე.

თბილისი, 16 ოკტომბერს.

ერთი ახირებული ინგლისელი, რომელიც თავის დღეში საფრანგეთში არ ყოფილა, გადმოვიდა თურმე რამდენიმე საათით ჰავრში (საფრანგეთში) და ერთს რესტორანში პური სჭამა. ოქროს-თმიანი გოგო ჩინებულად ემსახურა სტუმარს, სადილის ფული გამოართვა და ზრდილობიანად გაისტუმრა სამშობლოში ამპარტავანი ალბიონელი. რო დაბრუნდა სამშობლოში, ინგლისელმა თავის მოგზაურობის წიგნი შეადგინა (უამისოდ არ შეუძლია ევროპიელს მოგზაურობა) და, სხვათა შორის ამ წიგნში დასწერა: საფრანგეთში მოსამსახურე გოგოებს ყველას ოქროს ფერი თმა აქვს და ყველამ კარგი სამსახური იცისო.

ეს არაკი მოგვაგონდა, როცა პირველად დღევანდელს №-ში დაბეჭდილი ფელტონი წავიკითხეთ ფრანცუზულ ჟურნალში. პირველი ჩვენი აზრი იყო ისე უხმოთ ჩაგვეტარებინა და უპასუხოდ დაგვეგდო ეს ფელტონი, მაგრამ, ამდენი სიცრუით, ბატონო, რამდენიც ჩვენზე ვრცელდება ევროპაში სხვა-და-სხვა მოგზაურებისაგან, შენი მტერია, ჩვენც გული გაგვიტეხეს და ევროპაშიაც ხომ სულ წესი აგვიგეს...

არ შეიძლება ამ შემთხვევაში ვუთხრათ ჩვენ თავს ანდაზის სიტყვებით: „რა გენაღვლება იცრუონო“. დრო ისეთია, რომ დღეს ყოველთვის და ყოველგან უნდა იყვიროს კაცმა, თუ უნდა იმას რისიმე გაკეთება. იყვიროს ლიტერატურაში, საზოგადოებაში, არჩევანში, პოლიტიკაში, შინ, გარედ, დღე, ღამე... თუ ხმა არა აქვს იმას სტანტორისა, თუ რომელიმე გარეგანი ღირსებით არ არის ის აღჭურვილი, მაშინ შინაურს, კაცობრიულ ღირსებას არავინ მიაქცევს დღეს ყურადღებას. ყოველგან საჭიროა რეკლამები. თითონ საუკუნეც რეკლამებისა და ყვირილის საუკუნე გახდა...

უველა ევროპის პატარა ხალხებს და მათ შორის ჩვენ მეზობლებ სომხებსაც ჰყავს ევროპაში ამ გვარი მყვირალები, რომლებიც აგონებენ ევროპიელებს ამ პატარა ხალხების ქვეყანაზე არსებობას და ამ ყვირილით ყველას, რამდენათაც არის, თბილა.

ჩვენ მარტო ვართ ყველაფერში უკან ჩამორჩენილნი. ჩვენ არა თუ არა ვყვირით ჩვენზე, მაშინაც არ ვიღებთ ხმას, როცა სხვა-და-სხვა ფრეიგანგი, დიუმა, პეტული, პესლერი და სხვა ამ გვარები მიწასთან გვასწორებენ. ამის გამო ჩვენ არაფერი არა ვართ ევროპიელების თვალ წინ; იმათის აზრით, კავკასიაში ბევრი სხვა-და-სხვა მთიული გაუნათლებელი და თითქმის ველური ხალხი სცხოვრებს, რომელთ შორის ერთს ქართველებს ეძახიან.

ეს ქართველი ხალხი, ჩითეულობას ალაბის მაგიერ ცხვირით ზომავს (დიუმა).

რომ თათრებმა და სპარსელებმა ქართველებს ცოლი და ქალი არ წაართვან, ისინი განგებ ყვაილს შეჰყრიან ცოლ-შვილს და ამ გვარად ლამაზ პირის-სახეს უფუჭებენ (ფრეიგანგ).

ქართველებზე ნადირ-შახმა სთქვა: გურჯი—ილანჯი, დილანჯი, თალანჯი, ე. ი. ქართველი—ცრუ, მათხოვარი და მშიშარა არისო. (არ გვახსოვს—რომელ მოგზაურის აღწერილობაში წავიკითხავს).

და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ევროპიელებისთვის კავკასია ბარბაროსებით არის სავსე, რომელთ შორის ერთი მხნე მთავარი იყო, რომელსაც შამილი

**«დროების» ფელტონი, 17 ოკტომ.**

### ხალხი წარმავალი *)

— ამაზე უფრო მომეტებული სიფაქიზე არას დაუშავებდა-რა თქვენს ბიჭს. ცოტა საპნის ნაჭერი, ერთი ტანისამოსის საწმენდათ—და თქვენი უამისოთაც ლამაზი ბიჭი სულ მთლად ნახატი იქნებოდა.

აი რას ვეუბნებოდი მე ჩემს მეგობარს პ—ს, როდესაც პირველად თფილისში მოვედი და მასთან სადილზე დაპატიჟებული ერთ გათხუნვილ ლაქიას შევსცქეროდი, რომელიც ჩემი მეგობრის მზარეულიც იყო თურმე.

ჩემმა მეგობარმა ღიმილით მომიგო:

— ფრთხილათ!.... ცოტა უფრო თავაზიანათ იყავით სოსიკოსთან, რომელიც უძველეს საქართველოს თავადიშვილების გვარს ეკუთვნის, სხვა რომ არა იყოს-რა...

— როგორ? ეს ბიჭი თავადიშვილი არის?

— დიახ!... ეს კიდევ რა: მომეტებული ნაწილი თბილისის გზვარეულებისა საუკეთესო თავადის შვილებს ეკუთვნიან. ჩვენ გვყავს აქ ბევრი თავადიშვილები, რომლებიც მუშად და დღიურ მოჯამაგირედ ან ქუჩრებად არიან.

ჩემი მეგობარი მართალს ამბობდა. შემდეგში, როცა ახლო გავიცანი თფილისი დავრწმუნდი, რომ საკუთარს ქვეყანაში ბევრი ქართველები დღიურ მუშაობითა და სამსახურით ირჩენენ თავს.

აღმოსავლეთის ხალხები მუშაობას და ოჯახში ბიჭად სამსახურს ისე არ უყურებენ, როგორც დასავლეთისა. აღმოსავლეთელს საზოგადოდ არ უყვარს მუშაობა და ჩვენსავით არ არჩევს „სააზნაურო“ ხელობას „დაბალი“ ხელობიდამ. თუ კი შრომა და სამსახური ექნება, სულ ერთია როგორც უნდა იყვეს ეს სამსახური: ჰეთაბეგის ზავოდში თქვენ შეხვდებით სხვა-და-სხვა აზიის ხალხების მუშა კაცებს; აქ ქართველი თავადიშვილის გვერდით, რომელიც მუშების უფროსად არის, თქვენ იპოვით სპარსელ ფაშას რომელიც ქვებს ეზიდება...

როდესაც 1801 წელში, მეფე გიორგი XIII-მ დაუთმო თავის ნებით საქართველო რუსეთს — მისმა მამამ ერეკლემ მოუწოდა რუსები საქართველოში—დიდი ხნით წასული იყო ის დრო, როცა საქართველოს თავადაზნაურობა ბრწყინავდა თავის სიმდიდრით, მაგრამ იმათში მაინც იყო რამდენიმე მდიდარი გვარები: როგორც მაგ. ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ბაგრატიონები დიდი და მდიდარი საქართველოს თავადი-შვილები.

ზაკვრით ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ უმეტესი ნაწილი საქართველოს გვარიშვილებისა—ბევრს მათგანს ათასის წლის გენეალოგიური ხე აქვთ—ვამბოთ გაკვრით ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბევრი ქართველების აზნაურთა გვაროვნობა ქართული შთამომავლობისა არ არის. ბაგრატიონები, რომლებიც ბევრ ხანს განაგებდენ საქართველოს და სომხეთის ტახტს ურიების ჩამომავლობისა არიან; ისინი დავითის ძეებათ უწოდებენ თავიანთ თავს; ორბელიანებიც ურიების ჩამომავლობისა არიან, იმათი აზრით.

ბევრი მიწა, ცუდათ მოვლილი, საქართველოში ცოტა შემოსავალს აძლევს თავის პატრონს, მაგრამ ეს მიწა მაინც ძვირფასი იყო ქართველ თავად-აზნაურობისათვის, რომლის ხელშიაც დარჩა ამ საუკუნის პირველ ნახევარში (?) კავკასიის მთების მოსახლეებთან ომის დროს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდენ რუსებს და ქართველებს.

მაგრამ 1856 წ., თავ. ალ. ივ. ბარიატინსკი, ალექსანდრე II სიყმაწვილის მეგობარი, დაინიშნა კავკასიის მმართველად. ის იყო ულმობელი ხასიათის კაცი, რომელსაც განუზომე-

*) ეს სტატია გ. კესლერისა დაბეჭდილია ნემეცურს ჟურნალს „Globus“-ში და იქიდამ გადათარგმნილია ფრანცუზულს ჟურნალში „Le tour du Monde“-ში. მე ეს ჟურნალი გიშოვნე დ. ი. ყიფიანისაგან.

ერქვა. ეხლა კავკასიაში მარტო რუსის გუბერნიები არის და რუსის ჩინოვნიკები. სხვა ხალხები ან უნდა განქრნენ, ან უნდა გარუსდნენ.

მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში, 1300 წელს, ფრანცუზულს ენაზე გამოიცა ნიკოლაოზ სალკონის საქართველოში მოგზაურობა. ის სწერს თავის მოგზაურობაში: „საქართველოში ერთი გასაოცარი ადგილი არის: ჩემი თვალით რომ არ მენახა ის, არც დავიჯერებდი თუ იმისთანა ადგილი იქნებოდა. ერთს ალაგს, ჰამზემს, არის სამი დღის მოსავლელი სივრცე მიწა რომელსაც მზე თავის დღეში ვერ იხილავს და საცა ყოველთვინ ბნელა. კაცი ვერ შედის ამ ადგილში. ქართველები ამბობენ, რომ ამ ადგილიდამ გამოისმის კაცების ყვირილი, მამლების ყივილი და ცხენთა ჭიხვინი. ერთი წყალი, რომელიც ამ ადგილიდამ გამომდინარეობს, ამტკიცებს, რომ შიგ კაცები სცხოვრობენ, სომხების და ქართველების ისტორია ამბობს: ამ ადგილას ის ქრისტიანები უნდა სცხოვრობდნენ, რომლებიც სპარსეთის იმპერატორს უნდა ამოეხოცა და რომლების ქვეყანა ღვთის განგებით საუკუნოდ დალამებული იქნება მეორეთ მოსვლამდის ურჯულოებისაგან თავის დასაღწევნელათ.“

დღეს რომ რომელიმე ნემეცურ ან ფრანცუზულ გაზეთს მისწეროს ეს ამბავი და ქვემოდ მოაწეროს ეს, მე ჩემი თვალით ვნახეო, ევროპიელები იმდენათ გვიცნობენ ჩვენ, რომ დაიჯერებენ.

რას უზამ? საზოგადო აზრის შეცვლას დრო უნდა დიდი და სანამ ეს დრო არ გაივლის, სანამ ჩვენც არ დაუკრავთ ლოროტოტოებს, ჩვენზე ამ გვარი აზრი იქნება გავრცელებული განათლებულ ქვეყნებში, და ეს მელოროტოტოები კი არ საითა სჩანან ჯერ.

რა უნდა უყოს კაცმა, მაგალითებრ, „მ კესლერის ფელტონს, რომელიც დღეს ქვემოთ იქნება? ბევრ მწარე ჭეშმარიტებასთან, რომელსაც ეს მოგზაური გვეუბნება, ის გაქარწყლებას გვიქადის. შთხრათ: არა, ჩვენ არ ვაპირობთ ჯერ სიკვდილს, ჩვენ ორი-სამი ათასი წელი გვიცხოვრია ისე, როგორც ეხლა ვართ და იმედი გვაქვს, კიდევ ვიცხოვროთო, სიტყვაზე ვის დააჯერებ, ან სიტყვასაც როგორ მიაწვდენ იმ ნემეცურს ან ფრანცუზულს ოჯახში, საცა უკვე შედგენილია და ხელმოწერილი ჩვენი გაქარწყლების პროტოკოლი.

მოვცადოთ დროს, ახალ, მოზარდ თაობას, როცა ჩვენც მოგვეცემა ჩვენი სათანადო სახელი, და მანამ ჩვენი ძვირფასი, ჩვენი უკვდავი პოეტის სიტყვებით ვინუგეშოთ:

მავთა დროთა ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა.

არის კაცის ცხოვრებაში ისეთი წამი, როცა უბრალო სიმღერა, ერთი მუზიკის ნაწყვეტი, ერთი ლექსი ამშვიდებს აღბორგებულ და აღშფოთებულ სულს. ეხლა, ამ შემთხვევაში, ეს ერთი ტაეპი ორბელიანის ლექსისა ისე ძვირფასია ჩვენთვის, ისეთი ნუგეშია, რომ ღმერთმანი, თითოეულს ამ ტაეპის სიტყვებს არ გავცვლით ყველა ევროპის მოგზაურებისგან დაწერილ ტომებზე.

ლელო.

## ახალი ამბები.

ქუთათური გაზეთი შრომა გვატყობინებს, რომ ამ თვის ოცს იქ არის მოწვეული ადგილობრივის სამხედრო და სამოქალაქო უწყების ექიმები სამხედრო საავათმყოფო დარბაზში მოსალაპარაკებლად, თუ რა გვარად შეადგინონ ექიმთა საზოგადოება და რა საგანი უნდა ექნეს ამ საზოგადოებას.

***

მარტირიკა იმერეთში მკვლელობისა:

ხუთს ამ თვისას ქუთაისის მაზრის სოფ. საჩინოს რამდენიმე აზნაურთ მოსვლიათ ლაპარაკი ერთ კაცთან. ლ. ლ—ძეს მათი გაზავება მოუნდომებია, მაგრამ ერთს მოჩხუბარს ლაწირაკს მ. გ—შვილს ხანჯლის ჩაკვრით იქვე მოუკლავს საბრალო... მკვლელი ვერ დაუჭირავთ და სადღაც დამალულა...

***

იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ წელს საზოგადოდ კარგი მოსავალია, მეტადრე ყურძნისაო, ასე რომ ფუთი ყურძენი ქუთაისში ორ აბაზად, ათშაურად იყიდებაო.

***

„შრომას“ შეუტყვია, რომ ქუთაისის ბატონ გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ არც ერთი მომრიგებელი შუამდგომელი მთავრობის ნება-დაურთველად თავის მაზრას არ მოსცილდესო.

დიდი ხანია დრო იყო ამ გვარი განკარგულებისათვის....

***

დღევანდელ „კავკაზში“ დაბეჭდილია ტფილისის გუბერნატორის მოხსენება უმაღლესი მამგეობის დეპარტამენტისადმი შესახებ მოსავლისა ტფილ. გუბერნიაში. ტფილისის მაზრაში პურის მოსავალი გასულ წელზედ უკეთესიაო საზოგადოთ. სეტყვით ზიანი მიეცათ სოფლებს: პატარძეულს, ბერთუბანს, საგარეჯოს და სხვ., სადაც პურს გარდა ვაზებიც არიან დაზიანებულნიო, სულ ზიანი არიცხულია 90 ათას მან. ბორჩალოს მაზრაში პურის, ღვინის და ხილეულობას მოსავალი კარგია.

დუშეთის მაზრაში პურის, ღვინის და ხილეულობის მოსავალი უკეთესია გასულ წელზედ.

თიანეთის მაზრაში ღვინის მოსავალს ემდურიან სეტყვის მიზეზით. ზიანი არიცხულია 156 ათას მან.

ახალ-ციხეს და ახალ-ქალაქის მაზრებში პურის მოსავალი ერთობ კარგია, ხილეულობის კი ნაკლები.

სიღნაღის მაზრაში პურის მოსავალი კარგია, მაგრამ ღვინის კი ნაკლები ნაცრის მიზეზით. თელავის მაზრაში მოსავალი კარგია გარდა ღვინისა, აქეც ნაცრის წყალობით.

გორის მაზრაში საზოგადოთ კარგი მოსავალია ყველაფრისაო.

## „დროების“ კორრესპონდენციები.

**ხიდის-თავი**, 12 ოქტომბერს. რთველების გამო ძალიან ფაცაფუცში არიან თუ სომხობა თუ ქართველობა ამ ხიდის-თავში. ზოგნი რუმბებით მორბიან გორიდგან, ზოგნი ფაეტონებით მოწვეულნი სტუმრები, ზოგნი მუშას მოარბენინებენ საკრეფ-საწურავად, და სხვ. ამნაირ მოძრაობით მიაშურებენ თავიანთ წლის მოსავალს.

მეც ამ გვარად რთველში დაპატიჟებული მოვდიოდი, ჩავიარე სოფელში, ვნახე, კანცელარიის კარებზე რაღაცა ჩოჩქოლი იყო, ათიოდ კაცამდინ იდგებოდნენ, ერთი მაღალ ქუდიანი, რომელსაც დაგლეჯილი პალტო ეცვა, გაიძახოდა: „არ იქმნება, უნდა დავკლათ!“ თითქმის სხვანიკ იწინაალმდეგებოდნენ... ჩემი მგზავრობა შევაყენე ამ ამბის გასაგებად და ვნახოთ, ერთი კარგი ხარი კი მოარბენინეს საიდგანღაც, დაუძახა მაღალ ქუდიანმა:—„აბა დანა ჩქარა!“ თურმე იმას კიდევ ამხანაგათ ერთი კარგი გამოცდილი ყასაბი არა ჰყო-

---

ლი ენერგია ჰქონდა. ამან მთელი თვისი ენერგია მოიხმარა რომ გაერუსებინა კავკასია. ფულს იარაღზე ნაკლე შემწეობა არ მიუცია მისთვის.

დაამარცხეს შამილი, უბოდიშოდ დახვრიტეს სვანეთის მთავარი დ დადეშქელიანი, რომელსაც ღალატობას სწამებდნენ. აიძულეს ჩერქეზები აყრილიყვნენ და გადასახლებულიყვნენ.

თფილი გახდა პაპადის, ბრწყინვალების და განცხრომის ქალაქი. დღესასწაულები ერთი მეორეზე უფრო უკეთესი დაჰყვნენ ერთმანერთს მთავარ მმართებელის სასახლეში. ქართველების თავად-აზნაურთა თავი მდიდარი ეგონათ და მოინდომეს მხარი დაეჭირათ რუსეთის წარმომადგენელთან; იმას წაბაძეს და იმდენივე დახარჯეს. მაგრამ ამ უსწორო შეჯიბრებაში მათი ქისა მალე დაიცალა და სახელმწიფო ზანდუკს კი არა აკლდებოდა-რა. ამ გვარად, მოკლეს ხანში საქართველოს თავად-აზნაურობა გაკოტრდა.

ორიოდ-სამს გარდა, მათი ავლადიდება ევროპიელების ხელში გადავიდა, რომლებმაც იმას მიჰყიდეს განცხრომისთვის საჭირო ნივთეულება იმ ფასათ, რომელიც მართლა ხომ „კავკასიის გადაღმელია.“

საქართველოს თავად-აზნაურობა, რომელიც აძლევდა რუსეთს ისეთ შესანიშნავ პირებს, როგორიც იყვნენ გმირი ციციანოვი, პირველი მმართველი კავკასიისა და გენერლები ბაგრატიონი და ბებუთოვი, დღეს მარტო უბრალო ჩინოვნიკებზე აჯერებს სახელმწიფოს.

არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ქართველები ისეთი შრომის მოყვარე და ფხიზელნი იყვნენ საქმეში, როგორც მათი მეზობლები სომხები არიან, რომელთაც მათი მტრებიც არ ართმევენ ამ ორ კარგ თვისებას; მაგრამ ისინი მაინც არ არიან იმ საყვედურის ღირსნი, რომელსაც იმას ზოგიერთა მოგზაურები აწერენ და მარტო მათ სიზარმაცეს და წამხდარ ზნეს არ უნდა მიაწეროს კაცმა მათი დღევანდელი დაცემა.

რაც უნდა იყვეს, როგორც ხალხი, ქართველი ხალხი უნდა გაჰქრეს დედამიწის პირიდამ... მაგრამ ჯერ ქართველები რაც უნდა იყვეს „კაცთა ნათესავის გამამშვენიერებელნი“ არიან. საუკუნიდამ საუკუნამდა საქართველოს მონებმა გაამშვენიერეს მაჰმადიანის სახლების ტიპი: თათრებისა, არაბებისა, სპარსთა და თურქთა... ეხლაც, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს რუსი, დიდის კმაყოფილებით ირთავს მშვენიერს ქართველ ქალს და მაცთური სომეხიც ხშირად ცოცხალს და განცხრომის მოყვარე ქართველ ქალიშვილს ამჯობინებს ზნეობიანს, მდაბალს და მორცხვს სომხის ქალს. დიდი თავადი-შვილების გვაროვნობა, თუმცა ცოტაა, მაგრამ რაც არის სულ მთლად გარუსებულნი არიან. რუსეთის ჩვეულება და ზნე მათთვის ცივილიზაციის მზღუდე არის.

დღეს არც კი შეიძლება ითქვას რამე საქართველოს ერთს განსაკუთრებით თვისებაზე, როგორც ეს იყო 1840-ს, ბოდენშტედის აქ ყოფნის დროს. ტფილისში მაინც ამ თვისებას კვალი არა დარჩა-რა.

ამ ხალხის თვისებას შეადგენს მატერიალური გრძნობიერი და მოუფიქრებელი მიდრეკილება; იმას არა გაუკეთებია-რა გონებითს სფერაში იმდენი, რამდენიც გააკეთა მისმა შავდღის ამხანაგმა, *(compagnon de misère)* სომეხმა. ერთის მხრით ძველი ქართული ლიტერატურა ბევრათ უფრო ღარიბია ვინემ სომხური და მეორეს მხრით ეხლანდელ დროს არა უნახავს-რა იმათში არავითარი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელზედაც ლაპარაკი ღირდეს. მართალია ტფილისში ერთი ქართული გაზეთი გამოდის და ხანდისხან თამაშობენ ქართულ პიესებს, მაგრამ, სწორედ უნდა სთქვას კაცმა, ეს ძლიერ ცოტაა იმ ქალაქისთვის, რომელიც საქართველოს სატახტო ქალაქი იყო და რომელიც დღესაც უნდა იყვეს ძველის ხალხოსნობის უმაღლესი წარმომადგენელი. ამის მაგიერ აქ ქართველობა თან-და-თან მცირდება. 120 ათას მცხოვრებზე ამ ქალაქში ქართველები 20 ათასის მეტი არ არის, ან 17%; რუსებიც თითქმის იმდენია და სომხები კი 40%. ამ სხვა-და-სხვა ხალხებში ყველაზე უფრო ნაკლებ ქართველობას ემატება.

ლია; დაძახების უმაულ ამ მაღალ ქუდიანისა, იმან იმავე თვალის დახამხამებაში ყელი-კი გამოღადრა ხარს. შევხედე, მოვიდა პატრონი ტირილით, თავში-ცემით, ერთი ყრუ, თვალებიდგან ბევრს არას ხედავდა. ღრიალებდა:—„რას მემართლებით, რა დანაშაული მაქვს? ვისი რა გავტეხე, ვისი რა შევსჭამე, ტყის პირში ცხვარი ვიპოვნე, თუნდ მე შემიჭამია თუნდაც იმ ღამეს მგელს. ამ სიტყვებით გულ-ხელ დაკრეფილმა გაიარა და თანაც ცრემლების ღვაპი-ღვაპი გადმოსდიოდა.

ზაკვირვებული ვიდექ და ამ გარემოებაზედ ვფიქრობდი, თუ პირუტყვი, მუშა საქონელი რათ უნდა მოაკლონ გლეხს ან რა დიდი დანაშაული უნდა ჰქონდეს-მეთქი. ამ დროს ვნახოთ, მეორე ხარს მოარბენინებენ და თანაც პატრონი თავ-გადაგლეჯილი აკონკილი ჩოხით მოსდევს. მოიყვანეს თუ არა, იმასიც უბრძანა მაღალ ქუდიანმა: აბა ჩქარაო, და ერთ თვალის—დახამხამებაში ამასაც ის დღე დამართეს, რაც პირველს. ეს უფრო დიდათ გამიკვირდა.

პატრონი შესტირის, ეხვეწება:—„საქმე გამოიძიეთ, დამნაშავე ვიყვე, თუნდ ციმბირს გამგზავნეთ. რას ემართლებით მუშა ხარს? თუ მე ვარ დამნაშავე, მე გადამახდევინეთ. აი ეს ოც-და-ხუთი მანეთი და ხარს ნუ დამიკლავთ, ჩემი ცოლ-შვილი, ხემწიფის ხარჯი და ბევარა მაგ-ოღელ ხარზედ ჰკიდია, ეგეც რომ დაკლათ, ხომ დავიღუპე!“ მაგრამ რა! მისი ხვეწნა იმათ ერთ ყურში შედიოდათ და მეორე მხარეს გადიოდა. იმათ ეს ორივე ხარი ანაზდეულად აჩეხეს და აქ-იქა არიგებდენ. უბედური პატრონი კი ჰღვრიდა ცხარ ცრემლებს.

წასვლის დროს დავედევნე ხარის პატრონს და ვკითხე—ვინ არიან ეგენი, ან რათ დაგიკლეს ხარი?

—ვინ უნდა იყვნენ, ეგენი არიან სოფლის დამღუპველები. სოფელს განჩინება დაუდგენია, ქურდებს გარდაახდევინეთო. აბა რა ქურდობაა, შენი ჭირიმე. მე და ჩემი ძმა გავიყარენით შარშან მაისში, ჩვენ ერთი ვენახი გვქონდა, იმ ვენახს ორი კარი ება, ბალიდგან და ერთიც თავიდგან; სიმარჯვის გულისთვის თავიდგან მივდიოდით სამუშაოთ ხოლმე და ბოლოს კარიდგან, პატივი სარი და ფიჩხი მიგვქონდა, ასე რომ საურმე ქვევიდგან იყო და საქვეითო ზევიდგან. შემდეგ გაყოფისა ზევითი კარი იმას ერგო ქვევითი მე, ორნივენი ვხმარობდით ერთმანეთის კარებს. წრეულ თიბათვეში ჩემი ცოლშვილი შესულიყვნენ ჩემი ძმის კარებიდგან, ჩვენ წილს ვენახში ლობიოს მოსაკრეფად, მოეკრიფაათ ლობიო და გვერდით მოედგათ, თითონ ხახვის კვლისთვის დაეწყოთ მარგვლა. ამ დროს მოსულიყო ჩემი რძალი, ძალიანაც დაელანძღა ეს კარები რათ გაგიღიათ, ეს ლებიოც ჩვენსასა ჰგავსო, მოუტაცნიათ კალათით ლობიო და ამოეტანა მაგ მოლალატეებთანა, ჩვენი ვენახის კარები გაუღია და ლობიოც ჩვენი მოუკრეფია, ქურდია და გადაახდევინეთო. აბა, შენი ჭირიმე, ხომ მოგეხსენებათ ძმა როგორი ძმის მტერია, ანდაზა არის: „მტერი რომ არა გყვანდეს, ძმას გაეყარე, მტერი იქნებაო.“ ზანა არ უნდა გამოეკითხნად? აი ეხლა ხომ საქმე წასულია, ერთი ღვთიანი ადამიანი რომ შემოვიდეს ჩემს ვენახში, კიდევაც იპოვნის იმ ლობიოს ვაზებზედ დარჩენილს. ასე გაუკითხავად დამღუპეს და დამანელეს! ყურძენი ურემზედ მედო, სხვის საწნახელში ვეზიდებოდი, იქ შარაზე ყურძნიანი ურემი დამიგდეს ვინ იცის ქვეყანამ აიკლო უპატრონოდ, აქაც ხარს ყელი გამომიჭრეს, ნეტავი იმტელი მაინც დაეცლიათ, ამ როველს და ფარცხვას მოვრჩომილიყავი, და მერე რაც უნდა ექნათ..“ ამის გამო მწუხარებით გამოთქმულმა სიტყვებმა თითქმის მეც ცრემლები მომგვარა.

ეს ორი ხომ დაკლეს, აჩეხეს და ახლა კიდევ ზემოთ უბანში მიდიოდნენ, იქაც უნდა დავკლათო! ამათ რომ ასე ქნან, ამ ერთ თვეზედ სულ გააცოებენ სოფელს, აღარავის დარჩება მუშა ხარი ამიტომ რომ ამათ ხომ გამოკითხვა არა ნდომებიათ, მხოლოდ კი უთხრან, ეს ჩემი დამნაშავეაო და სხვა არაფერი,—ესენიც მაშინვეხარს დაუკლენ.

ზანა უნდა დარჩეს ეს ანბავი უყურადღებოთ? ამას თუ ვისიც რიგია ყურადღება არ მიაქცია, სრულებით გაალატაკებენ ხალხს უიმისოთაც გალატაკებულს, რომელიც ვალითა და და ვახშით არის დამხრჩვალი.

მნახველი.

**სამიქიოს, 11 ოქტომბერს.** წარსული წლის „დროების“ ერთს №-ში იყო დაბეჭდილი სამიქაოდგან კორრესპონდენცია, რომელშიაც გამოთქმული იყო, რომ იქაური საზოგადოება, რომელიც შესდგება თითქმის 600 კომლისაგან, სულ ცუდ მდგომარეობაშია, მას არა აქვს სკოლა, აწუხებს მდინარე ცხენის-წყალი, რომელიც ბევრ მამულს ართმევს ხალხს საჭიროა ყური უგდონ ამ მიყრუებულ ადგილსო და სხვ. და სხვ.

მოხსენებული კორრესპონდენცია სამიქიოს საზოგადოებამ გაიგო რამდენიმე თივს შემდეგ, რადგან ის გაზეთებს არ ეწყობა: 600 კომლში, რომელშიაც თავად-აზნაურებიც ბევრი გახლავთ, ვგონებ, მარტო ერთი მღვდელი იწერს „დროებას“!—

უმეტესი ნაწილი გლეხებისა და თავად-აზნაურებისაც მონდომილი იყო ჯერ-ჯერობით სკოლა მაინც დაეარსებინათ.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, იმერში რომ ერთმა ვინმემ კეთილი და საზოგადოების სასარგებლო საქმე დაიწყო, ორმოცი დამბრკოლებელი აღმოჩნდება, თითქო უამისოდ არ შეიძლებაო.—აქაც მოხდა,-გამოჩნდნენ იმისთანა პირები აქაურ მაღალ საზოგადოებაში, რომელთაც თავის თავი გალანძღული ჩათვალეს ზემოდასახლებულ კორრესპონდენციაში, გალაძლეს მათთვის უხილავი კორრესპონდენტი და ეკკლესიაზე საზოგადოებას აგონებდნენ, რომ კორრესპონდენტს არავითარი მართალი არ უთქვამსო, სალი ტყუილია გაგვლანძღაო, ჩვენ სკოლა რათ გვინდა, მიწა-წყალი საკმარისი არ გვაქვსო და სხვა და სხვ.

ამგვარ პირების წყალობით, სკოლასა და სხვა ამისთანა სასარგებლო და საზოგადო საქმეები ბრკოლდება ჩვენში, თორემ შეძლებაც გვაქვს და მომეტებულ ნაწილს სურვილიც, რომ რაიმე კეთილი ჩვენშიაც გარიგდეს.

ლ. ზარათელი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პრეზიდენტის გრევის გაზეთში „*La Paix*“-ში დაბეჭდილია სტატია, რომელიც ამტკიცებს, რომ ფერრის სამინისტროს გაგრძელება სრულიად საჭირო არ არისო. ამ გაზეთის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ 29 ღვინობისთვისათვის შესაკრებ პალატს, ახა-

---

20 ათას ქართველ ტფილისის მოსახლობაში ერთ მესამედზე მეტი თავად-აზნაურობას ეკუთვნის.

დღეს იმერეთის სატახტო ქალაქი ქუთაისი ტფილისზე უფრო კარგად წარმოადგენს დაცემული რასსის ნაციონალურ ქალაქს. ქართული ენა იქ საქმის ენა არის და ურთიერთ შორის მიმართობისა. აქ ქართულად ლაპარაკობენ საზოგადოების უმაღლესს წრეებში, რომლებთაც ტბილისში რცხვენიათ კიდეც ქართული ლაპარაკი.

ევროპიელების ყურისთვის ქართული ენა ცუდათ გასაგონია; ის მაგარია, ცუდად გამოსათქმელი და ძნელად სასწავლი.

რასაკვირველია ამ ხალხშიაც არიან ისეთნი პირნი, რომელთაც თავის ცხოვრების მიზნათ დაუდვიათ ევროპის კულტურა მოახმარონ თავიანთ მემამულეთა გონებით და სამოქალაქო გახსნას, რომელთაც იმუშავეს უანგაროთ მარტო სამშობლოს სიკეთისათვის. ამ გვარ კაცებს ეკუთვნის სწავლული ბაგრადოვი*), რომელმაც შეადგინა დიდად საფასი ისტორიული და არხეოლოგიური გამოკვლევა.—მაგრამ უნდა თქვას კაცმა ევროპიის ცივილიზაციის დაახლოვებამ უფრო დააჩქარა ქართველი ერის დაცემა.

დიდებში როგორიღაც რაინდული დაუდევრობა სუფევს, რომელიც შრომას და დაზოგვას ადგილს არ აძლევს; დაბალ ხალხში მამა-პაპური სიზარმაცე, აპატია, და თითონ სიფხიზლეც ცოტა მოთხოვნილებაზე აჯერებენ ამ ხალხს.

ქართველებმა აღრინდელი კეთილ-დღეობის და დამოუკიდებლობის დროიდამ მხოლოდ ერთი სიკეთე შეირჩინეს: მხნეობა. საკვირველებაა, რომ ამ პატარა ხალხმა ასე დიდ-ხანს ეწინააღმდეგა თათრების და სპარსელების ძლიერებას და ამასთან კავკასიის მთების სხვა-და-სხვა ბანდიტებს, სახელდობრ ლეკებს; საკვირველებაა ევრეთვე, რომ არც დევნამ და არც წამებამ შეიძლეს შეემცირებინათ და განედევნათ აქედამ ქრისტეს სარწმუნოება, რომლისგან ამათ მარტო გარეგანი წესი ჰქონდათ შეთვისებული. როცა რუსეთი ებრძოდა მთიულებს ქართველებს ეჭირათ პირველი ადგილი; ქართველი მილიციონერების მამაცობა რომ არ ყოფილიყო ჩერქეზებთან და ლეკებთან ბრძოლა, ვინ იცის, დღესაც არ იქნებოდა გათავებული.

ქართველ ქვეით ჯარს, აზიის ომში, სხვა დარი არა ვინა ჰყავს.

„ლამაზია და ძლიერი საქართველოს შვილი“-ო, ამბობს ერთი ძველი სახალხო ლექსი და მართალსაც ამბობს. თავად-აზნაურობაში ნამეტურ მშვენიერი კაცები გამოდის, მაღალის ტანისა, კარგად მოყვანილი, ფართე მკერდიანი, სწორედ „რომანის გმირი“, რომელსაც სამწუხაროდ სიმსუქნე აუშნოებს, ხანში შესვლის თანაბრათ.

ახლა ქართველი ქალები? ურიცხვ პოეტებმა შეამკეს მათი მშვენიერება. აქაც ძვირია ნამდვილი მშვენიერება, ძლიერ ძვირია. დაბალი შუბლი და დიდი ცხვირი, ქართველების სახისა ყველას გემოსა ვერ დააკმაყოფილებს. მაგრამ სამაგიეროდ ყველა ახალ-გაზდა ქალები კარგად ჩასუქებულნი და კარგი ჯანისა არიან. საქართველოში ვერ იპოვნით ახალ-გაზდა დაჭრეჭილი პირის სახის ქალს. თუ უმეტესობა გრძნობის თაყვანის მცემელია და არა მაღალი ჭკუის, ამის მიზეზი მათი აღზრდაა.

საზოგადოდ ისენი უფრო ჩქარა ბერდებიან ვინემ ევროპიელები.

უკანასკნელი საქართველოს მეფის მეუღლის მარიამის და მშვენიერის ნინა ორბელიანის მაგალითი, რომელმაც ოც და ათი წელიწადი იტირა თავისი ქმარი პოეტი ბრიბოედოვი*), გვიმტკიცებს, რომ ამ მშვენიერ ქალებშიაც არის დიდი ღირსება, რომელიც ამშვენიერებს დედათა სქესს.

ნამდვილთან სწორეა.

ლელო.

*) უეჭველია—„ბაქრაძე“ უნდა ეთქვა.

*) გრიბოედოვი უნდა იყვეს. ამას ჰყვანდა ცოლად ნინა ჭავჭავაძისა და არა ორბელიანისა.

ლი სამინისტრო უკვე შემდგარი დახვედროდა.

ამ გვარმა აზრმა ამ გაზეთისა ყველა გააკვირვა მით უფრო, რომ გამბეტას გაზეთებში ამაზედ ადრე გამოაცხადეს გრევის და გამბეტის ურთი-ერთშორის თანხმობა ახლანდელი სამინისტროს დარჩენაზე, სანამ პალატა მოიწვევოდეს.

**ინგლისი.** დიდი მღელვარებაა ამ ჟამად მთელს ირლანდიაში პარნელის და ტუსაღების გამო. ათასობით იკრიბებიან და უკმაყოფილებას აცხადებენ. ზოგ ამ კრებაზედ აღტაცებით ყვირიან: „გაუმარჯოს ირლანდიის რესპუბლიკასაო!“ ზოგზედ სწყვეტენ, რომ, სანამ პარნელს არ გაანთავისუფლებს ინგლისის მმართებლობა, მანამ არავითარი ღალა არ ვიხადოთო.

რამოდენიმე პირთ, რომელთაც ინახულეს დატუსაღებული პარნელი, უთხრა ამან, რომ ირლანდიის საქმეები ისე არის დაწყობილიო, რომ ამის შემდეგ უმისოთაც კარგად წავაო და მისი დაჭერით ირლანდიას არაფერი არ მოაკლდებაო.

ინგლისის მმართებლობამ აღკრძალა ყოველი კერძო ყრილობები ირლანდიაში:

ერთ ამერიკელ აგიტატორის გაზეთში დაბეჭდილია ადრესი ირლანდიის ერისადმი მიმართული ესრედ წოდებულ „ახალ რევოლიუციურ კავშირისაგან“.

სხვათა შორის, ადრესში სწერია: „ჩვენ ყოველის საშუალებით დავეხმარებით იმ პირთ, რომელნიც იმოქმედებენ ირლანდიაში, ინგლისში თუ სხვა ქვეყნებში, სადაც ინგლისს აქვს გამართული ვაჭრობა, ვაჭრულ და სხვა რომელიმე ასპარეზზედ. ჩვენ მზათა ვართ შევხვდეთ ჩვეულებრივს ძახილს ესრედ წოდებულ „საზოგადო აზრს“. ჩვენ გვეზიზღება ის, რადგანაც ჩვენი საქმე ყველაფერზედ მაღლა მიგვაჩნია. ჩვენ იმასაც ვჰრძობთ, რომ ამ საშინელ ბრძოლაში ბევრი, ბევრი უდანაშაულოც შეიქნება მსხვერპლად“.

# განცხადებანი

გოლოვინის პრო[s]პექტზედ ანტონოვის სახლებში, სადაც წინეთ იყო სლავიანის სასტუმრო, უკვე გაიხსნა ჩემ მიერ ახალი სასტუმრო „ლივადია“ ძლიერ ლამაზათ მორთულის ოთახებით, ყოველ გვარის სასიამოვნო მოხთენილებითა; ბუფეტი სტუმრების სიამოვნებისათვის შეიცავს ორს ზალას, რომლებთაგან ზემოთისას აქვს შესავალი პყრედნის, კარებიდამ; ქვემოთისას გარეთ ვიწრო ქუჩიდამ, პირ-და-პირ ახლად საშენებელის ტეატრისა. (ბანოვსკის ვიწრო ქუჩიდამ) იქ სდგას ახალი საქები ბილიარდები მუდამ დღე უკრავენ ახლად მოსული არტისტები სკრიპკა და როიალზედ. ეს ვრცელი ზალა ჩინებულად მორთულია მებილებით, რამოდენიმე ლამაზი პატარა თავის-უფალ ოთახებით (კუპე), იმ პირებთათვის რომლებთა არა სურთ ეჩვენონ სხვათა სტუმრებთა. საჭმელები მზადდება ამორჩეულის ხარისხისა, ეძლევ იაფ ფასად და სახლშიდაც; იმედია ახლად გახსნილი ესე სასტუმრო დაიმსახურებს საზოგადო ყურადღებას. (3—1)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეაში

*(Maison de confiance)*

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—54)

# ექიმი რეიხი

**თვალის ტკივილის ავათმყოფობისა,** რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ქიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდინ მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—5

ქ. გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გავხსენ ზეთით მომზადებული ყოველნაირი წამლების სამხატვრო სალებავთა მაღაზია, ვეიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ მყიდველთ მეუმლინთ სოფლებიდამაც მომმართონ უტყუვრად გავგზავნებათ ყოველ-გვარი სალებავი (კრასკა) (10—4) **ივანე ს. ბაბალოვი**

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-ყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—62)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფონდოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხელჭები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—23)

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში საჭმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—3)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და გ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლუბი 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—30)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემზივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—40)

**ჩაის მცოდნე** პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—61)

**ტაქსია**

**საჭმელთა ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირ. $3^1/_2$
მეორის „ —1 გირ. 3 კ.
მესამის „ —1 გირ. —

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირ. $5^1/_2$
მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ „ —1 გირ. 5 კ.
მესამის „ „ —1 გირ. $4^1/_2$

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 8 კ.
მეორის „ —1 გირ. 7 კ.
სუკი — — —1 გირ. 14 კ.
ცხვრის ხორცი —1 გირ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ. 14 კ.
მეორის „ —1 გირ. 12 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი